GEA ASSOCIATION EMPLOYERS GEORGIAN

მაისი, 2016

NEWSLETTER

ტრენინგი თემაზე - "პროფესიული განათლება და დასაქმება"..... 2

ტრენინგი თემაზე - "შრომის უსაფრთხოება და ეკონომიკური ასპექტები" 3

ტრენინგი თემაზე - "რისკების შეფასება სამუშაო ადგილზე სამშენებლო სექტორისთვის" 4

შეხვედრა იტალიის ხის, მშენებლობის და ავეჯის ასოციაციასთან 6

საქართველო-სლოვაკეთის ბიზნეს ფორუმი 7

დიასპორული პროფესიული ფორუმი
- "გაუზიარე გამოცდილება სამშობლოს" 9

მის.: თბილისი, ა. ბელიაშვილის #8, ტელ: (+995 32) 214 73 73
მობ,: (+995 579) 555 551 ელ.ფოსტა: employer@employer.ge
www.employer.ge

ტრენინგი თემაზე პროფესიული განათლება და დასაქმება

"საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის" ორგანიზებით და გაეროს განვითარების ფონდის (UNDP) მხარდაჭერით მაისში გაიმართა ტრენინგების ციკლი თემაზე: „პროფესიული განათლება და დასაქმება“.

ტრენინგს ესწრებოდნენ საჯარო სექტორის წარმოამდგენლები, კერძოდ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტოს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და საქართველოს პარლამენტის პროფესიული განათლების, შრომისა და დასაქმების კომიტეტების წარმოამადგენლები და თემასთან დაკავშირებული სხვადასხვა დეპარტამენტების ხელმძღვანელი პირები. ტრენინგზე, ასევე, წარმოდგენილები იყვნენ ბიზნეს სექტორის ისეთი მსხვილი წარმომადგენლები, როგორებიცაა „გუდვილი“, ‘საქართველოს რკინიგზა“ და სხვ.

ტრენინგის მიზანს წარმოადგენდა საჯარო და ჯერძო სექტორის წარმომადგენელთათვის საქართველოში პროფესიული განათლების პოლიტიკისა და დასაქმების საკვანძო საკითხების მიმოხილვა, ინფორმირებული პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების უნარების განვითარება.

აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპზე „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია“ ახორციელებს სამ პროექტს პროფესიული განათლების ხელშეწყობისა და განვითარების მიმართულებით. აღნიშნული პროექტების ფარგლებში დაგეგმილია მსგავსი ტრენინგების ორგანიზება.

ტრენინგი თემაზე - "შრომის უსაფრთხოება და ეკონომიკური ასპექტები"

მიმდინარე წლის 17 მაისს ბიზნეს გაერთიანება “საქართველოს დამსაქმებელათა ასოციაციის ორგანიზებითა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ხელშეწობით გაიმართა ტრენინგი თემაზე „შრომის უსაფრთხოება და ეკონომიკური ასპექტები“.

ტრენინგის მიზანს წარმოადგენდა მსმენელებისათვის უბედური შემთხვევების შედეგად ეკონომიკური დანაკარგების შეფასების პრაქტიკული პროცედურების მიწოდება. ამ მიზანს ემსახურებოდა როგორც ინტერაქტიური ხასიათის თეორიული მასალა, ასევე პრაქტიკული სავარჯიშოები ხარჯების დასაანგარიშებლად. სავარჯიშოებში, რომელიც დაფუძნებული იყო რეალური უბედური შემთხვევების გამოძიების შედეგების მასალებზე, განხილულია სხვადასხვა სექტორში მომუშავე ორგანიზაციები, რაც არსებითად ამარტივებს ამ მეთოდიკის პრაქტიკაში გამოყენება

ტრენინგს უძღვებოდნენ შრომის საერთოაშორისო ორგანიზაციის (ILO) ექსპერტები.

ტრენინგის მონაწილეებს გადაეცათ GEA-ს სერტიფიკატი.

„საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია“ თემის აქტუალურობიდან გამომდინარე მომავალშიც გეგმავს მსგავსი თემატიკის ტრენინგების ორგანიზებას, რათა კომპანიებმა თავიდან აიცილონ უბედური შემთხვევები და საშუალება მიეცეთ გააკეთონ შესაბამისი გათვლები , თუ რა ფინანსურ ზარალს ნახავს საწარმო უბედური შემთხვევების მოხდენის შემთხვევაში.

ტრენინგი თემაზე - "რისკების შეფასება სამუშაო ადგილზე სამშენებლო სექტორისთვის"

მიმდინარე წლის 18-დან 20 მაისის ჩათვლით „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის“ ორგანიზებით გაიმართა ტრენინგი თემაზე „რისკების შეფასება სამუშაო ადგილზე სამშენებლო სექტორისთვის“, რომელსაც უძღვებოდა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) ტრენერი.

ტრენინგს ესწრებოდნენ სამშენებლო კომპანიები და ასოციაციის სოციალური პარტნიორები, კერძოდ, ჯანდაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის წარმომადგენლები, პროფკავშირები და შრომის უსაფრთხოების ექსპერტები/ ტრენერები. ამასთან, სასწავლო პროცესში განსაკუთრებით აქტიურად იყო ჩართული „ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაცია“.

მნიშვნელოვანია, რომ ტრენინგ პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო პრაქტიკულ სამუშაოს, რომლის ფარგლებშიც ტრენინგის მონაწილეები ეწვივნენ მშენებლობის პროცესს შპს „კაპიტოლ კონსტრაქშენის“ მიმდინარე პროექტზე. ტრენინგის მონაწილეებმა ადგილზე შეაფასეს ის სავარაუდო რისკები და საფრთხეები, რომლებიც შეიძლება საშიშროებას წარმოადგენდეს, როგორც მშენებლებისთვის, ასევე შემდგომში მაცხოვრებლებისა და ირგვლის მდებარე შენობებისათვის.

კონკრეტულ ობიექტზე მდგომარეობის შეფასების შემდგომ მონაწილეებმა სემინარის პროცესში წარმოადგინეს პრეზენტაციები, რომლის ფარგლებშიც განიხილეს ყველა ის შესაძლო რისკები, რომლის გამოვლენაც შესაძლებელია მშნებელობის პროცესში ობიექტზე. ასევე, განიხილეს რისკების შემცირების გზები და საშუალებები.

ტრენინგის მონაწილეებს გადაეცათ შესაბამისი სერტიფიკატები.

აღნიშნული ტრენინგ პროგრამა განსაკუთრებით აქტუალურია მას შემდეგ, რაც მთავრობის 2015 წლის 2 მარტის #81დადგენილების საფუძველზე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტოში შეიქმნილია -„შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი“, რომლის მიზანია საკანონმდებლო და ნორმატული ბაზის მომზადება და ორგანიზაცია-დაწესებულებებში შრომის უსაფრთხოების არსებული პირობების ინსპექტირება.

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია კომპანიების ხელშეწყობის მიზნით სისტემატურად ახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს, როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით, რათა დამსაქმებლები მეტ-ნაკლებად მომზადებულნი შეხვდნენ შრომის უსაფრთხოების ახალ მოთხოვნებს.

შეხვედრა იტალიის ხის, მშენებლობის და ავეჯის ასოციაციასთან

20 მაისს „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციამ“ უმასპინძლა იტალიის ხის, მშენებლობის და ავეჯის სექტორული ასოციაციის წარმომადგენლებს. ასოციაციის პრეზიდენტმა ბ-ნმა ელგუჯა მელაძემ და დირექტორთა საბჭორს სხვა წევრებმა სტუმრებს წარმოუდგინეს საქართველოს ეკონომიკური პოტენციალი როგორც ადგილობრიც, ისე საერთაშორისო დონეზე. შეხვედრაზე განიხილეს ბიზნესის წამოწყების და პარტნიორობის შესაძლებლობები ისეთ ინდუსტრიებში, როგორებიცაა - მშენებლობა, წარმოება, სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა და სხვ.

„საქარველოს დამსაქმებელთა ასოციაციის“ წარმომადგენლებმა იტალიის ხის, მშენებლობის და ავეჯის სექტორული ასოციაციის წარმომადგენლებს წარუდგინეს სახელმწიფო პროგრამები, რომლებიც წარმოების განვითარებაზეა მიმართული („აწარმოე საქართველოში“, „დანერგე მომავალი“ და სხვ.) და მიაწოდეს ინფორმაცია ყველა იმ ბენეფიტის შესახებ, რომლებსაც მიიღებენ საქართველოში უცხოელი ინვესტორები.

შეხვედრის მხარეებმა დასახეს სამომავლოდ თანამშრომლობის გეგმები, რომელიც მოიცავს ფართომასშტაბიან B2B შეხვედრებს, იტალიაში წარმოებული მაღალი ტექნოლოგიების, ავეჯის და სხვა პროდუქტის საქართველოში იმპორტს, ქართული ნაწარმის ექსპოტის შესაძლებლობების ზრდას და სხვ.

საქართველო-სლოვაკეთის ბიზნეს ფორუმი

მიმდინარე წლის 30 მაისს ბიზნეს გაერთიანება „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის“, საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოსა ორგანიზებითა და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალარის პარტნიორობით გაიმართა საქართველო-სლოვაკეთის ბიზნეს ფორუმი ტექნოლოგიურ პარკში.

ბიზნეს ფორუმი სლოვაკეთის პრეზიდენტის ანდრეი კისკას საქართველოში ვიზიტის ფარგლებში გაიმართა.

ღონისძიება საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა და სლოვაკეთის პრეზიდენტმა გახსნეს. გამოსვლებში მათ შეაფასეს ორი ქვეყნის ბიზნეს შესაძლებლობები. ღონისძიებას, ასევე, ესწრებოდა საქართველოს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი და მინისტრთა კაბინეტის სხვა წარმომადგენლები.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ საქართველო სლოვაკეთს შორის ბიზნეს ურთიერთობების შედეგად ვაჭრობის მოცულობა 36 მილიონ ევროს შეადგენდა და ამ რიცხვის ზრდის შესაძლებლობები ორივე მხარის მიმართულებით არსებობს. სლოვაკეთის ბიზნეს სექტორმა გამოხატა დაინტერესება ინვესტირების შესახებ განსაკუთრებით ისეთ სექტორებში, როგორებიცაა ენერგეტიკა და ტურიზმი. საქართველოს მხრიდან ბიზნეს სექტორისთვის აღნიშნული ფორუმი მნიშვნელოვანია ექსპორტის შესაძლებლობების გაზრდის თვალსაზრისით.



ამასთან, ბიზნეს ფორუმზე მოეწყო ორმხრივი შეხვედრები ქართველ და სლოვაკ ბიზნესმენებს შორის, გაიმართა პრეზენტაციები შემდეგი საკითხების შესახებ: "საინვესტიციო კლიმატი და ბიზნესშესაძლებლობები საქართველოში", "გაიცანი და დაიწყე ბიზნესის კეთება სლოვაკეთთან ერთად" და "ინვესტიციის შესაძლებლობა ენერგეტიკის სექტორში".

დიასპორული პროფესიული ფორუმი - "გაუზიარე გამოცდილება სამშობლოს"

ბიზნეს გაერთიანება "საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის" წარმომადგენლები ესწრებოდნენ მეორე დიასპორულ პროფესიულ ფორუმს - "გაუზიარე გამოცდილება სამშობლოს". ღონისძიება ეძღვნებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის 25 წლის იუბილეს.

საკონტაქტო ინფორმაცია

0159, ქ. თბილისი, ბელიაშვილის ქ. #8
ტელ: (+ 032 2) 14 73 73
მობ: (+995 579) 55 55 51
E-mail: employer@employer.ge
www.employer.ge
www.facebook.com/GEA

GEA
ASSOCIATION
EMPLOYERS
GEORGIAN